საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 3888-02
14/12/2018

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლიდან წარმომადგენლობით საბჭოში წევრობის კანდიდატთა(აკადემიური პერსონალი) არჩევნების ჩატარების თარიღისა და დროის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების მე-14 მუხლის, მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 7 ნოემბრის №9 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო დებულების" მე-3 და მე-4 მუხლების საფუძველზე, რექტორის 10 დეკემბრის N3824-02 ბრძანების გათვალისწინებით

ვბრძანებ

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **სამართლის სკოლიდან** წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის(აკადემიური პერსონალი) კანდიდატთა არჩევნები ჩატარდეს 2018 წლის 18 დეკემბერს, 16:30 საათიდან 18:30 საათამდე (მის:ჭავჭავაძის 32, ოთახი A402);
2. სამართლის სკოლის დეკანს დაევალოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის გაცნობა სამართლის სკოლის აკადემიური პერსონალისათვის;
3. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება;
4. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები რექტორის აპარატს, სამართლის სკოლას, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, იურიდიულ სამსახურსა და უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას.

გიგა ზედანია

რექტორი